სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს

ბ-ნ როინ ვარშანიძეს

მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ სწრაფი კვების მაკდონალდსის საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან მივიღეთ თქვენი **წერილი MIA 8 21 00404480** შენიშვნებით, რომელებზეც ქვემოთ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი პოზიცია:

მოთხოვნის ტექსტი	**პასუხი**
1. გათვალისწინდეს, რომ საგანგაშო ღილაკი უნდა განთავსდეს იატაკიდან არაუმეტეს 1.5მ. სიმაღლეზე;	***ყველა შენიშვნა მიღებულია, გათვალისწინებული იქნება საბოლოო დამუშავებულ პროექტში***
2.დაპროექტების დოკუმენტაციაში აღნიშნული შენობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობების მონტაჟისას გათვალისწინდეს, რომ მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობების მოწყობა უნდა მოხდეს სათავსოში, ან შენობის იმ ფართობში, სადაც განხორციელდება მომსახურე პერსონალის ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა;	
3.შენობაში საევაკუაციო გზებზე გათვალისწინდეს ავარიული განათების მოწყობა (საევაკუაციო განათება);	
4. ავტოსადგომსა და სატუმბო სადგურების სათავსოში გათვალისწინდეს ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა.	

ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ თანხმობა, სამშენებლო ნებართვის გაცემიდან სამი თვის ვადაში წარმოვადგინოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

თეა თაბაგარი
შპს "ქროსი 2"-ის დირექტორის
ჟაკ მარი ფლურის წარმომადგენელი